ხელშეკრულება № 115

ქ. თბილისი 20 დეკემბერი 2016 წ.

ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის №42 საჯარო სკოლა (შემდგომში ,,შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ნუგზარ კედელაშვილის სახით და მეორეს მხრივ ი.მ. მარიამ კუსრაშვილი (შემდგომში ,,მიმწოდებელი") სახით ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის გზით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია საახალწლო ნაძვისხის სათამაშოებისა და ნათურების შეძენა (CPV 37500000, 31500000).

მუხლი 2. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 98.70 (ოთხმოცდათვრამეტი ლარი და 70 თეთრი) ლარს.

2. მომსახურების გაწევა დასტურდება მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის წარდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად.

3. დამკვეთი შემსრულებელს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ღირებულებას გადაუხდის უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 3. ხელშეკრულების მოქმედება

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2016 წლის 20 დეკემბრიდან და მოქმედებს 2017 წლის 20 თებერვლამდე.

მუხლი 4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1 „მიმწოდებელი" ვალდებულია „შემსყიდველს" მიაწოდოს სხვადასხვა სახის ნაძვის ხის სათამაშოები და ნათურები პირობების დაცვით, ხოლო უხარისხო საქონლის მიწოდების შემთხვევაში აანაზღაუროს საქონლის ღირებულება და თანმდევი ხარჯები.

4.2.„შემსყიდველი" ვალდებულია უქრუნველყოს „მიმწოდებლის" მიერ მიწოდებული საქონლის საფასურის ანაზღაურება, წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურისა და მიღება-ჩაბარებსის აქტის შესაბამისად, ათი საბანკო დღის ვადაში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

მხარეები პასუხს აგებენ მათ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვანი შესრულებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ხელშეკრულება ავტომატურად წყდება:

1.1. ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო.

1.2. მხარეების ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შემთხვევაში, თუ მას არ ჰყავს სამართალმემკვიდრე ან უფლებამონაცვლე.

2. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

მუხლი 7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

1. ხელშეკრულებაში ყოველი ცვლილების შეტანა წარმოადგენს შეთანხმებას და საჭიროებს წერილობით ფორმას, რომელსაც ხელს აწერენ მხარეები.

2. ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 8. დავის გადაწყვეტა

მხარეები ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილ დავებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავების გადასაწყვეტად მიმართავენ სასამართლოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

მუხლი 9. ფორს მაჟორი

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით მეორე მხარისათვის მიყენებული ყოველგვარი ზიანის ანაზღაურებისაგან, თუ ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული სიტუაციით.

მუხლი 10. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი: აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის სსიპ ქალაქ თბილისის №42 საჯარო სკოლა მის.:ქ.თბილისი, ჩაიკოვსკის ქ. #9 ტელ: 299 00 73 ს/კ 203853856 ს/ს "თი ბი სი ბანკი" ბანკის კოდი TBCBGE22 ა/ა GE21TB7123736020100001 დირექტორი ნუგზარ კედელაშვილი (ხელმოწერა) ბ.ა	**მიმწოდებელი:** ი.მ. მარიამ კუსრაშვილი მის: ქ. თბილისი, ლეონიძის 12/1 ტელ: 599-07-10-20 ს/კ # 01015014165 ს/ს ,,თი ბი სი ბანკი" ბანკის კოდი: TBCBGE022 ა/ა GE16 TB76 7993 6010 3000 16 **მარიამ კუსრაშვილი** (ხელმოწერა) ბ.ა